



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 58

2017 წელი 20 ნოემბერი

ქ.ბათუმი

დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისია (შემდგომში სამანდატო კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვახტანგ ლორთქიფანიძე- თავმჯდომარე;

ბ) ჯემალ მუსხაჯბა- მდივანი;

გ) სულხან დუმბაძე.

2. სამანდატო კომისია:

ა) თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს;

ბ) უზრუნველყოფს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის წარდგენილი საჭირო დოკუმენტაციის (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მათი ჩატარების სისწორის, შემოსული საჩივრების, განცხადებების, საარჩევნო კანონდებლობის დარღვევების გამოვლენილი ფაქტების, საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის) შესწავლას და ამის საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს მოხსენებას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ერთიანი სიით უფლებამოსილების ცნობისათვის;

გ) სამანდატო კომისია გადაწყვეტილებას ღებულობს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

3. სამანდატო კომისიას უფლებამოსილება უწყდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის შექმნისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული
საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარე

თეიმურაზ შამილაძე